

ივნისი, 2026

კლიმატური დახასიათება

ივნისის თვეში ამინდს საქართველოში, ძირითადად, განაპირობებდა ევროპის ტერიტორიაზე დამყარებული ანტიციკლონის აღმოსავლეთ პერიფერიიდან სამხრეთისკენ შედარებით გრილი და ნოტიო ჰაერის მასების გავრცელება. ამასთან, ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთიდან სითბოს პერიოდული ადვექციის ფონზე, ადგილი ჰქონდა კონვექტიური პროცესების განვითარებას ძლიერი ინტენსივობის წვიმებით, ლოკალურად სეტყვისა და შკვალური ქარების თანხლებით.

ტემპერატურული რეჟიმის მიხედვით, გასული თვეების მსგავსად, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ივნისიც გრილი იყო (ნახ.1).

ჰაერის თვის საშუალო ტემპერატურა ქვეყნის ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე კლიმატური ნორმის ფარგლებში ან უფრო დაბალი იყო. ტემპერატურის გადახრამ მრავალწლიური ნორმიდან საშუალოდ -0.6 [-1.8 , $+0.3$] $^{\circ}\text{C}$ შეადგინა, უდიდესი უარყოფითი გადახრებით - მცხეთა-მთიანეთში. ტემპერატურის დადებითი გადახრები მხოლოდ ქვეყნის ცალკეულ ცენტრალურ რაიონებში დაიკვირვებოდა.

ივნისის საშუალო ტემპერატურა ქვეყნის დაბლობ და ვაკე ტერიტორიაზე $+19$, $+23^{\circ}\text{C}$, მთაში $+15$, $+19^{\circ}\text{C}$ ხოლო მაღალ მთაში $+11$, $+15^{\circ}\text{C}$ -ის ფარგლებში აღინიშნა, უდიდესი მნიშვნელობებით ქვემო ქართლის ვაკეზე და კოლხეთის დაბლობზე, უმცირესით - სამხრეთ საქართველოს მთიანეთის ტერიტორიაზე.

ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმები ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე თვის მეორე დეკადაში (16-20 ივნისი), ხოლო სანაპირო ზოლში, ძირითადად, თვის ბოლოს (29-30 ივნისი) დაფიქსირდა. მრავალწლიური სიდიდეების გადაფარვას ივნისის თვეში ადგილი არ ჰქონია. ტემპერატურამ ყველაზე მაღალ მაჩვენებლებს ($+35$, $+38^{\circ}\text{C}$) დასავლეთში - კოლხეთის დაბლობზე და ზემო იმერეთში, აღმოსავლეთში - ქვემო ქართლის ვაკე ტერიტორიაზე მიაღწია.

ივნისში ყველაზე დაბალი ტემპერატურები, ძირითადად, თვის პირველ რიცხვებში (1-3 ივნისი) დაიკვირვებოდა. აბს. მინიმუმები მთაში და მაღალ მთაში, ასევე, შიდა ქართლის ბარში $+3$, -1°C , ხოლო მცხეთა-მთიანეთში და სამხრეთ საქართველოს მთიანეთის მაღალმთიან რაიონებში -2 , -5°C -მდე დაეცა. მრავალწლიური სიდიდეების გადაფარვას ადგილი ჰქონდა გორში ($+2.0^{\circ}\text{C}$), ბორჯომში ($+2.5^{\circ}\text{C}$) და ფასანაურში (-2.5°C), სადაც დაფიქსირდა ივნისის თვისთვის უკანასკნელი 70-წლიანი პერიოდის უპრეცედენტო დაბალი ტემპერატურები.

ნალექების რაოდენობის მიხედვით, ივნისის თვე ქვეყნის უმეტეს ტერიტორიაზე ნორმაზე დაბალი ან ნორმის მახლობელი ნალექიანობით ხასიათდებოდა (ნახ.2).


ყველაზე მშრალი პირობები (საშუალო მრავალწლიური მნიშვნელობის 40%-მდე) კახეთში დაიკვირვებოდა. შედარებით მომატებული ნალექიანობა აღინიშნა მხოლოდ შავი ზღვის სანაპირო რაიონებში და ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში (ქუთაისი, გორი), სადაც ნალექების თვის ჯამები კლიმატური ნორმის მნიშვნელობებს დაახლოებით 30-60%-ით აღემატებოდა და ნალექების მაქსიმალური რაოდენობა (200-270 მმ) შესაბამისად, კვლავ შავი ზღვის სანაპირო ზოლში მოვიდა.

როგორც ჩანს, მიმდინარე წლის ივნისის თვეში ნორმაზე შედარებით დაბალი ნალექიანობა საქართველოში განპირობებული იყო ძირითადად ნალექიან დღეთა სიმცირით. ამასთან, ქვეყნის ზოგიერთ რაიონში პერიოდულად ადგილი ჰქონდა უხვნალექიან ეპიზოდებსაც.


ივნისის თვე გამოირჩეოდა სეტყვის შემთხვევების სიხშირით. 7, 9, 10, 11, 12, 19 და 20 ივნისს სეტყვა, ზოგიერთ რაიონში ძლიერ ქართან ერთად აღინიშნა კახეთში (ახმეტის, თელავის მუნიციპალიტეტები), ქვემო ქართლში (ბოლნისის, თეთრიწყაროს, წალკის მუნიციპალიტეტები), იმერეთში (ბაღდათის მუნიციპალიტეტი). ადგილობრივი მასშტაბის ცნობით, დაისეტყვა საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, ვენახები, ხეხილის ბაღები, ზოგან განადგურდა მოსავალი. 20 ივნისს სეტყვა აღინიშნა დედაქალაქის რამდენიმე რაიონშიც.

თვის მანძილზე არახელსაყრელი მეტეოროლოგიური მოვლენების კატეგორიის ნალექების რაოდენობა მოვიდა ბათუმში 15 ივნისს (102 მმ/12 სთ), გორში (29 მმ/12 სთ, ამასთან - 24 მმ/1 სთ) 20 ივნისს, ფოთში 28 ივნისს (87 მმ/12 სთ). ივნისის თვის ისტორიულ მონაცემებთან შედარებით, 24-საათში მოსული ნალექის რაოდენობა ამ

ტერიტორიებისთვის კლიმატურ ნორმის 50-60%-ს შეადგენს და ბათუმისთვის განეკუთვნება 20-წლიანი, ხოლო ფოთისა და გორისთვის 10-წლიანი განმეორებადობის ნალექს. უხვმა ნალექმა ზოგიერთ მუნიციპალიტეტში (ახმეტა, გორი, სენაკი) პრობლემები შექმნა. დაიტბორა ქუჩები, სახნავ-სათესი ფართობები. დაზიანდა ადმინისტრაციული ერთეულების შიდა გზები და ხიდები, შეიზღუდა ელექტრონერგიის მიწოდება.



ნახ.1. ივნისის თვის ჰაერის საშუალო ტემპერატურის ანომალიები საბაზისო პერიოდთან (1991-2020 წ.წ.) მიმართებაში



ნახ.2. ატმ. ნალექების ივნისის თვის ჯამების ანომალიები პროცენტებში საბაზისო პერიოდთან (1991-2020 წ.წ.) მიმართებაში